საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა საოქუელისტოს ორგანო

№ 220 პარასკევი, აპრილის 13 (25) 1918 წ. № 220

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

**ახალციხის რაიონში მაჰმადიანებმა სოფ. საკირეზე მოიტანეს იერიშები: წითელმა რაზმელებმა ისინი გარეკეს.—ყარსის დასავლეთი ფორტები წინასწარი ზავის პირობების თანახმად ოსმალოებს გადაეცა.—უკრაინის ჯარი სიმფეროპოლს მიუახლოვდა.**

**ფასი:** ნეგულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., ,,ფეკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი ეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი ხამგლოვიარო განცხადებისა ზომისა დამოკიდებული: 15×2 ღირს 8 მანეთ., 20×2 ღირს 12 მან., 8 ხაოიის შემდეგ ხამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში“ (კ. თავაროკილიძისეული „ნადვილი“) ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ყველგა ორი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება ,,ფეკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასახელები განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე ,,ფეკასიანებ-ეეტების გარდა, დილის 9 საათიდან 3-ამდე. ხელმოწერილი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი ეარ წერილები და ,,ორიგინალებიც ეარ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

**რედაქცია და კანტორა იმყოფება:** ტფილისში, სახახლის ქ., სარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი **წერილებისა და ფულისათვის:** Тифлисъ „Сахалхо Сакив“, поч. ящ. 190.

**ფასი ტფილისში და პროვინციაში 30 კაპ. რა. ბაზის სადაზრეშე. 35 კაპ.**

ტელეფონი 12—29

**გაზეთი „სახალხო საქმე“ ღირს:**

**ერთის თვით 4 მ. 50 კაპ., 3 თვით 13 მ. 15 კ., ნახევარი წლით—27 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 30 კ., რკ. გზის სადგურებზე 35 კ.**

**ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში ღილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი 5—7 საათ., ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, ,,სახალხო საქმის“ რედაქციას.**

ღრმად დამწუხარებულნი დედა ეკატერინე სტეფანეს ასული მეგელიშვილისა, ძმები: კონსტანტინე და ნიკოლოზი, დები—მარიამი, თამარ შეკლლიშვილები და ნინო ოსიების ასული ამიერაკეკასიელ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და ხაცნობთა, რომ შაბათს 14 აპრილს, პეტრე-პავლეს ეკლესიაში გადადგილი იქნება ორმოცი ღლის წირვა და პანაშვიდი

**ვანო ივანეს იოსების ძე მეჭედლიშვილის**

სულის მოსახსენებლად.

გულდათუთქული დედა დადო და მისი შვილები ლევან და კოსტა ნარაკიძეები აუწყებენ ნაცნობებსა და მეგობრებს, რომ 13 აპრილს, შუადღის 12 საათზე წმ. ნინოს ეკლესიაში დანიშნულია წირვა და პანაშვიდი

**თამარ სპირიდონის ასული ნარაკიძის**

სულის მოსახსენებლად. 429

დამწუხარებული მშობლები გრიგოლ და ბარბარე, ძმები პეტრე და გიორგი და მარიამი აუწყებენ მოკეთეთა და მეგობართა, რომ ხანმოკლე, ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველთა საყვარელი შვილი, ხოლო მეორეთა და ექიმი

**სოფიო მამრაძე**

პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე, ვერის დადმართი ს. ხლი № 5, ბინა № 5 430

ღრმად მწუხარებაში მყოფნი დედა ესმა ბესარიონის ასული და შვილები: დავითი, კოწია, პავლე, ლიუბა და ნინა დეკდარიანები აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და მეგობართა უდროოდ დაკარგვას პირველი ფსაყვარესი შვილისას და დანარჩენნი დისას

**ფეფუცა თეოდოსის მოსეს ასული დევდარიანისას**

დაკრძალვა მოხდება აპრილის თოთხმეტს დღით შაბათს ნაშუადღევის სამ საათზედ წმ. ნინოს ეკლესიაში ქ. ყვირილაში. 428

გამოუთქმელ მწუხარებაში მყოფნი მიხა ჯაშინაძე ლიდუაშვილი და მაშო ლიდუაშვილ ხა, შვილები: თამარ, ნინო, დათიკო, გიორგი და კატუშა ლიდუაშვილები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ უდროოთ დაკარგვას: პირველი ცოლის დისას, მეორე დისას და დანარჩენნი დეიდასას.

**ფეფუცა თეოდოსის მოსეს ასული დევდარიანისას**

დაკრძალვა მოხდება აპრილის თოთხმეტს დღით შაბათს ნაშუადღევის სამ საათზედ წმ. ნინოს ეკლესიაში ქ. ყვირილაში. 428

გამოუთქმელ მწუხარებაში მყოფნი დავით ალექსის ძე მახარაძე და ოლგა (ოლინკა) მახარაძისა, შვილები: მარგარიტა, ნინო, თამარ, ქეთევან და სონა მახარაძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ უდროოდ დაკარგვას: პირველი ცოლი დისას, მეორე დისას და დანარჩენნი დეიდისას

**ფეფუცა თეოდოსის მოსეს ასული დევდარიანისას**

დაკრძალვა მოხდება აპრილის თოთხმეტს დღით შაბათს ნაშუადღევის სამ საათზედ წმ. ნინოს ეკლესიაში ქ. ყვირილაში. 428

## ქართული კლუბი

კვირას, 15 აპრილს, 1918 წ.

**სადღესასწულო წარმოდგენა**

**ვ. ა. აბაშიძის** 40 წლის სასყენო მოღვაწეობის აღსანიშნავად

გაიმართება ორი წარმოდგენა

**დილით ჰეპო** კომედია 3 მოქმედ. გ. სუნდუკიანისა.

**საღამოთი ნამუსისათვის** პიესა 4 მოქ. შირვანზადისა.

მონაწილეობენ ძველი და ახალგაზდა მსახიობნი. პიესებს სდგამენ ა. წულუკიძე და ა. ფალორნაკი. ◆ ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. 1071

## დიდი ცირკი



**ძმ. ეფიმოვებისა**

მიბეიელის ბრ., მეტ. ახლი, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური სანაძრო შენობა, ᲓᲦᲔᲡ. 19—00.

დღეს, 13 აპრილს გაიმართება

**დიდი წარმოდგენა**

3 განყოფილებით და 18 ნომრით. მრავალი ახალი საინახავია. „იაპონური ხარაკირი“, „საიდუმლო ყუთის გაღება“ და სხვ. მონაწილეობენ იამოდა-სანი, მფრინავი ადამიანები დ. ლაკაბო, ელეხარეთი, ვინჩენკო, ალვინსანი და სხვ.

დასაწყისი 8 საათზე. დასასრული 11 საათზე. 426

## ქართული კლუბი

**შაბათს 14 აპრილს გაიმართება**

**ერთადერთ მეფრეს გასამართლება**

**სასამართლოს**

თავმჯდომარე გ. ფურული.

| | |
|---|---|
| წევრნი | ) ივ. ჩერქეზიშვილი. |
| | ) ვ. ქავთარაძე. |
| ბრალმდებელი | ) 1. მოსე ჯანაშვილი. |
| | ) 2. ირაკლი ამირეჯანი. |
| დამცველნი | ) ივანე გომართელი. |
| | ) გრიგოლ ვეშაპელი. |
| ერეკლე II შალვა დადიანი. | |

**ნაფიცნი მსაჯულნი:**

იუ. ვართაგავა, რ. ინგილო, ეკ. თაყაიშვილი, დ. კარიჭაშვილი, კ. მაყაშვილი, გრ. რობაქიძე, მდივანი მ. ხერხეულიძე.

საზოგადოებიდან გასამართლებაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა წინასწარ უნდა განუცხადონ სასამართლოს მდივანს.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. 1145 ბილეთები იყიდება კასაში.

## ქართული დრამატიული საზოგადოება

ყველა იმათ, ვინც ჩაიწერნენ ქართულ დრამატიულ საზოგადოების ახალ დასში, **განუცხადებ იმისი მიიღეს თუ არა დასამატიებელი ბარათები,** ეთხოვთ მობრძანდნენ ზუბალაშვილის სახალხო სახლის თეატრში, **შაბათს 14 აპრილს** ნაშუადღევის 4 ნახ. საათზე, ვინც ამ დროისთვის არ გამოცხადდება, იმათ გამოსაცდელი წარმოდგენა არ დაენიშნებათ.

ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა.

1138

## განცხადება

მიწადმოქმედების მინისტრის კანცელარია აცხადებს, რომ 18 მარტს, შუადღის 12 საათზე, ბაკურიანის ფერმაში, რომელიც ხის ჯვარში იმყოფება, დანიშნული კარგი ჯიშის ჯოგის გაყიდვა, რომელიც ბორჯომის სანელ. ეროგნულ მამეულს ეკუთვნის. ვაჭრობა დაიწყება იმ ჯამიდან, რომელიც ქვემოდ არის აღნიშნული:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. № 100—ვარია | 450 მ. | 11. № 162—სერნა | 300 მ. |
| 2. № 9—ლასკა | 400 „ | 12. № 15—ლიდა | 350 „ |
| 3. № 147—ფილმა | 450 „ | 13. № 102—ლიუბოჩკა | 300 „ |
| 4. № 114—სენტა | 450 „ | 14. № 104—ლეონორა | 350 „ |
| 5. № 123—ანნა | 350 „ | 15. № 97—პოლერკა | 400 „ |
| 6. № 95—რაბილ | 300 „ | 16. № 86—ჩეგერიჩკა | 300 „ |
| 7. № 16—კატიანკა | 450 „ | 17. № 35—„ნეგრეტიონკა“ | 450 „ |
| 8. № 44—ლაბ. | 600 „ | 18. № 159—თამარ | 350 „ |
| 9. № 118 ტიპორა | 300 „ | 19. № 106—ძალა | 350 „ |
| 10. № 31—„ორიენკა“ | 300 „ | 20. № 32—[illegible] | 600 „ |

ამათ გარდა იყიდება 5 ხბო და ერთი მეზეერი (10 თვის—1 წლ.) და ფასიერია 200 მ. თითო. ვინც ვაჭრობაში მონაწილეობას მიიღებს ნახევარი საფასური ვაჭრობის გათავებისას უნდა შემოიტანოს დაფაყოფნებლივ, ხოლო დანარჩენი ნახევარი 3 დღის შემდეგ. ნაყიდი საქონელი ვალდებულია წაიღოს 3 დღის განმავლობაში დღიდან ვაჭრობის წარმოებისა. თუ მყიდველი დაარღვევს ზემო აღნიშნულ პირობებს, ვაჭრობაც დარღვეულია და შეტანილი ფული ხაზინას გადაეცემა.

ვაჭრობას აწარმოებს ბორჯომის მიმდები კომისიის თავმჯდომარე

4111 შ. ოსიფოვანი.

**ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ, 13 ᲐᲠᲘᲚᲘ 1918 წ.**

ყოველს სახელმწიფოს **საზღვრები** თავიანი სადგრები აქვს და **დაცვა.** საზღვრებს კი დაცვა უნდა. ამიერკეკასიაც, უეჭველია, თავისი სადგრები ექნება. სადამდის მივა საზღვრები ჩრდილოეთში, ეს ისაზეა დამოკიდებული, შემოვლენ თუ არა კეკასიის მთიელები ჩვენს სახელმწიფოში. აღმოსავლეთისა და დასავლეთის საზღვრები კი, ალბათ, ისეთივე იქნება, რანაირიც ამიერკეკასიის ადმინისტრატიულ საზღვრებს შეადგენდა. ყოველ შემთხვევაში ერთის მხრით ბაქო და მეორეს მხრით სოხუმი ამიერკეკასიის სახელმწიფოს საზღვრებში შედგენენ. მაგრამ პოლიტიკური მდგომარეობა ამ ადგილებში გართულებულია. ბაქოსა და სოხუმში ამ ეამად გასაკონრებული არიან ბოლშევიკები, რომლებიც, უეჭველია, ამერკეკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოს არა სენთრებენ და სეიმის გარდაწყვეტილებასაც არ დაემორჩილებიან, ისევე მოიქცევიან, ალბათ, სოხუმის ბოლშევიკებიც, რომლებიც, წინააღმდეგ სოხუმის ოლქის მცხოვრებთა უმრავლესობის სურვილისა, საბჭოების ბატონობას ამტკიცებენ. სოხუმის ოლქის მცხოვრებნი, როგორც ვიცით, ოუბაზეები არიან. ოუბაზები ვერას გზით ვერ შეურიგდებიან საბჭოების ბატონობას და დღეს თუ გაუშვებულნი არიან, ეს მხოლოდ იმათ აიხსნება, რომ წინააღმდეგობის გასაწევად ძალა არ შესწევთ. ასეთსავე მდგომარეობაშია ბაქო. ბაქოს ბოლშევიკები არა ვითარ ანგარიშს არ უწევენ მაჰმადიანთა იმ მასსის სულიერ განწყობილებას, რომელიც ბაქოს გარშემო მოსახლეობს. უმეტეს წილად ადგილობრივი მატერიალებისა და გზად მიმავალ რუსი ემელონნების დახმარებით ბაქოს ბოლშევიკებმა სისხლის მოღვრეში ჩაახჩეს მაჰმადიანთა მასსა და ამნაირი ტერორის საშუალებით დროებით ჩაჩუმეს ბაქოს მაჰმადიანების მასსა, მაგრამ ამნაირ ბატონობას დროებითი ხასიათი აქვს და ექნება. აღმოსავლეთ ამიერკეკასიის მაჰმადიანები ვერასგზით ვერ შერიგდებიან ბაქოში ისეთი ძალა უფლების განმტკიცებას, რომელიც მიელს მათს ეხლანდელს წარმოდგენასა და სულიერს განწყობილებას ეურჩება. ბაქოს ბოლშევიკებს მოკვეთდება დღევანდელს პირობებში ნამდვილი ანტიმაჰმადიანური მოქმედება, რადგანაც არც მათი ლოზუნგები, არც მათი რუსული სახელმწიფოებრივი იდეა, არც მიელი მათი ინტერესები არ ეგუება ყველაფერს იმ, რასაც ამ დღეს მიისწრაფიან ამიერკეკასიის მაჰმადიანები.

ამიერკეკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მდგომარეობა უკეე მწვავდება. ჩვენ ნამდვილნი ეიყოთ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ბაქოს ბოლშევიკები არ მოისურვებენ დამორჩილებას. მაგრამ ჩვენთვის ასეეე ცხადია, რომ შეუძლებელია, ბაქო ამიერკეკასიის ფედერატიულ სახელმწიფოს საზღვრებში არ დარჩეს: აქედან კი მხოლოდ ერთი დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ: ამიერკეკასიის მთავრობა იძულებული გახდება ,,ულ ბოკლე ბ.ნში, ამიერკეკასიის საზღვრების „ასამაგრებლად და დასაცავად მიაგზავნოს ლეკიდაცია ბოლშევიკების ბატონობისა ერთის მხრით ბაქოში, ხოლო მეორეს მხრით სოხუმში.

## გადამავალი ხანა

ყოველთვის, როცა ისტორიის აუცილებელი მიმდინარეობით ძველ პოლიტიკურ ფორმების მაგიერ ახალი ფორმები მყარდება, ახალ ცხოვრებას თან სდევს წარსულის ანრდილი და ეს გარემოება დიდად აწუხებს და ადელვებს ახალ ეპოქის წარმომადგენელთ. არა მარტო მოგონებანი, არამედ ძველი დროის ნამდვილი ნაშთები ზშირად ახალ ფორმითა თავისუფალ და ორიგინალურ განვითარებას ხელს უშლიან. ნათესავთა, წარსული ერთობაშად და სამუდამოდ არასოდეს არ ვვდება. მოგონებათა, ტრადიციათა, ზეგნეულებათა და რწმენათა შეუწყვეტელი ძაფი ირთეს, აკავშირებს სოფლოთა მიმდინარეობაში ერთ თაობას მეორესთან, და ჩვენს შემეცნებაში ხშირად ჩვენსდა შეუმჩნეველად სეცხოვრობს ჩვენ წინაპართა შემეცნება ყველაფერი ეს თანამედროვე ახროვნებისათვის იმოდენად გასაგებია და მარტივია, რომ ჩვენი დროისათვის საკირთა არა განმარტება და მტკიცება ისტორიულ მემკვიდრეობის იდეასა, არამედ მოძებნა მისი საზღვრებისა და მისი სამართლიანი მოხმარებისა. მართლაც, ეზრი წარსულის აწმყოზე ბატონობის შესახებ ძმიმე ტვირთად გვაწევს და ხელს გვაშლის რათა საღი ოპტიმიზმით და მტკიცე რწმენით მივეესწრაფეთ ახალ მიზანთა განხორციელებისათვის. რასაკვირველია შეუძლებელია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ უსათოდ დაუბრუნდეთ იმ ოცნებებს, რომლებიც ესე გავრცელებული იყო სფერანგეთის დიდ რევოლიუციის დროს, როცა ფიქრობდნენ ცხოვრების უეცრივ გაუჯობესობაზე, როცა ადამიანში ხედავდნენ თავის ცხოვრების, პოლიტიკურ დაწესებულებათა და მომავლის შემოქმედს, რომელსაც ვითომდა შესწევდა სისწრაფეთ და დაუბარკოლებად განხორციელოს კეთილი ბრძანებანი გონებისა და გულისა. აქ იყო ბევრი რამ გადამეტებული და თეორეტიულად შემცდარი, მაგრამ გადამეტებულია აგრეეეე შეხედულება, რომ სოციალ-გადამბრძეი განვითარების ისტორიული ეოეელდლობა, ევოლუციის კანონის კოლოსალური სიძლიერით თავს გვაწევს და მათ წინააღმდეგ ჩვენი შემცენება ვერას გახდება.

ჩვენ არ შეეუდგებით ამ შეხედულებათა წინააღმდეგობის გაანალეას. მაგრამ არ შეიძლება არ ვიეაქციოთ ყურადღება საკითხის ერთს მხარეს, რომელიც თანაბრდროვე მოსწრებულია დაახლოებულია.

ჩვენ მოგშენრ ვართ ჩვენი სამშობლოსი და ამიერკეკასიის პოლიტიკური მდგომარეობის რადიკალურად შეცვლისა. პრინციპალურად და ფაქტიურად ეს ცვლილება გადაუვეეტელი საქმეა. მაგრამ ბევრი ამ ისტორიულ ფაქტს ეკვის თვალით უყურებს.

ამ თვალიეურ პუნქტიზმში თავდაპირველად ისახება შთაბეჭდილება მიმდინარე მოვლენებისა, შიში წუთისა; მაგრამ აქ ჩვენ სამე ეგრეთვე თეორეტიულად გაუგებრობასთან და პრაქტიკურ შეცდომასთან. ჩვენ აღვნიშნეთ ზემოთ, რომ ისტორიულ ტრადიციის იდეამ ღრმათ მოიკალთა თანამედროვეე შემეცნებაში. მაგრამ თანამედროვეე ეზოს არ შეუფასებია მეორე შეხედულება, რომელიც განმარტებული იყო ეეერო ჩვენ შეცნიერული ანალოზის საშუალებით და რომელსაც დიდი პრაქტიკული ნიშნეშენელობა აქვს დღეს ჩვენთვის. ეს შეხედულება იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი ტრადიცია. რაც გინდ ძველი, ხანგრძლივი და შეუწყვეტელი იყოს ის, მოქმედობს არა როგორც გარეგანი ძალა არამედ როგორც შედეგი მისი შინაგანი თვისებისა ამა თუ იმ თაობის ეიერ.

სახელმწიფოებრივი ფორმები, პოლიტიკური დაწესებულებები არ წარმოადგენენ იმ უაზრო ძალთა ნაყოფს, რომლებმაც საბოლოოდ დასტოვეს თავისი კვალი ისტორიაში და შემდეგ ისინი მოქმედებენ ინერციის სახით. ვისაც კი სურს ნათლად წარმოიდგინოს პოლიტიკური დამოკიდებულებანი, უნდა უკუაგდოს აზრი, რომ სახელმწიფო ვითომდა ჩვენს მაღლა სდგას ანუ ჩვენს გვერდით, როგორც დამოუკიდებელი რამე.

სახელმწიფო ეს ყველა ჩვენ ვართ. ხალხის, მთელი შემადგენლობა ხალხის შემეცნების რეალურ მატარებელთა სახით. ხალხის შემეცნების პროცესში სახელმწიფო პოულობს თვის უმაღლეს საფუძველს და თვის საზღვარს; ის არსებობს, სცხოვრობს თაობათა ფსიქიური შრომის საშუალებით, და თუ ცხოვრებამ და დრომ დაარღვია საზოგადოებრივ შემეცნებაში ეს, თუ ის პოლიტიკური ფორმები და წარმოდგენები, ეს არის ნამდვილი სიკვდილი ამ ფორმებისა. წარმოდგენათა იურიდიული განსაზღვრას ახალ ამა თუ იმ დებულებებით და ტერმინებით აქვს მწარმოებითი მნიშვნელობა და ის მხოლოდ დადასტურებს მომხდარ ცვლილებას. აი ამისათვის ის, რაც შემეცნებაში დარღვეულია, დარღვეულია საბოლოოდ.

ამ თვალთაზრისით თუ შევხედავთ მომხდარ ამბებს, გაუგებარია თუ რა გზით შესაძლებელი იყო და არის დაცვა ძველი ფორმებისა ამიერ კავკასიის და რუსეთის დამოკიდებულებათა სფეროში; გაუგებარია აგრეთვე, ის წარმოდგენა, რომ ვითომც შესაძლებელია ძველი დროის დაბრუნება. რევოლიუციამ შეარყია მთელი ქვეყანა. რევოლიუციის პროცესში შემუშავდა წარმოდგენათა მთელი ახალა წყება და ეს წარმოდგენები მოითხოვენ ახალ შემოქმედობას სახელმწიფოებრივ ფორმათა ორგანიზაციაში. ის, რაც შეუძლებელია ხალხის შემეცნებიდან ამოვგლიჯოთ დღეს, ეს არის რწმენა რომ რუსეთი დაიშალა და აუცილებელია ამიერკავკასიის ცხოვრების გარკვეულ პოლიტიკურ ფორმით ჩამოყალიბება. ეს არის ერთად ერთი გზა ამიერ კავკასიის მშვიდობიან განვითარებისა. საზოგადოებრივი შემეცნების ამ ფაქტის სიდიადის წინაშე დროებითი დაბრკოლებანი კარგავენ თვის მწვავე ხასიათს.

მაგრამ არის გარემოება, რომელიც მოითხოვს სერიოზულ ყურადღებას საზოგადოების მხრით. ამიერკავკასია გამოცხადებულია ფედერატიულ რესპუბლიკად. მაგრამ ეს კიდევ არ სწყვეტს ბევრს საჭირბოროტო საკითხებს. თავდაპირველად ყველას უნდა აინტერესებდეს უფლების განაწილება ამიერკავკასიის ფედერაციაში.

არსებულ ფედერატიულ სახელმწიფოებში ამ შემთხვევაში ვამჩნევთ ცენტრალურ უფლების ზრდას. ავიღებთ შეერთებულ შტატებს, კანადას, შვეიცარიას თუ ავსტრალიის ფედერაციას ყველგან ვხვდებით ფედერატიულ საკრებულოსა და საბჭოს ფართო კომპეტენციას. მაგრამ აქ საქმე გვაქვს არა კანონმდებელის ნებასთან, რომელიც ამყარებს სახელმწიფოს ამა თუ იმ ორგანიზაციას; აქ სხვა ფაქტორებსაც აქვს ღრმა მნიშვნელობა. კულტურული და ეთნოგრაფიული განსხვავება, ისტორიული მოგონებანი, ფიზიკურ გეოგრაფიული თვისებები ტერიტორიის იმგვარი ფაქტორები არიან, რომელთაც ექნებათ გადამჭრელი მნიშვნელობა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მომავალი ამიერკავკასიის ფედერაცია უნდა აშენებულ იქმნეს შემადგენელ ნაწილების მეტ დამოუკიდებლობაზე. ამ შემთხვევაში თეორია კალგუნისა, რომელიც ასაკუთრებდა ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებს კავშირიდან გამოსვლისა უფლებასაც კი, წარმოადგენს დიდ ინტერესს და მას ანგარიში უნდა გაუწიონ მათ, ვინც ამიერკავკასიის კონსტიტუციას შეიმუშავებს. ძალაუფლების განაწილების საკითხი ფედერაციაში უმთავრესი საკითხია; მისი სისწორით და სამართლიანად გადაწყვეტა აგვაშორებს ბევრს დაბრკოლებას ჩვენი ქვეყნის ნორმალურ სოციალურ განვითარებისათვის.

ალ. მდივანი.

## ტანჯვით შობილი თავისუფლება

ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა ტანჯვით იშვა; აიხსნება ეს არა მარტო იმით, რომ იგი ომის პროცესში დაიბადა, არამედ უფრო იმიტომ, რომ მთელი ჩვენი წარსული საზოგადოებრივი ცხოვრება და საზოგადოებრივი აზროვნება მომზადებული არ იყო დამოუკიდებლობის აქტის შესათვისებლად. ყოველი დამონებული, დაჩაგრული ერისთვის პოლიტიკური განთავისუფლება მიზანია, ბრწყინვალე იდეალი, რომლის მისაღწევადაც იბრძვის საუკეთესო ნაწილი ერისა. შეგნება ვერ ურიგდება მონობას, გრძნობა შფოთავს დამოუკიდებლობის დაკარგვის გამო და შეურაცხყოფილი თავმოყვარეობა ერის საუკეთესო შვილებისა მოუწოდებს სულით მონებს, აღსდგნენ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის.

იქ, სადაც ერი ნორმალურად სცხოვრობს და ვითარდება, იქ, სადაც ერს სასიცოცხლო ძალები დახშული არა აქვს, თავისუფლება მოდის არა როგორც სამწუხარო აუცილებლობა, არამედ როგორც მიზანი, მიღწეული დიდხნის ბრძოლის შემდეგ.

ჩემთვის, როგორც პიროვნებისთვის, თითქმის არავითარი ფასი არა აქვს იმ ეროვნულ განთავისუფლებას, რომელიც ბრძოლით არ არის მოპოვებული. არა აქვს ფასი იმიტომ, რომ ბრძოლა გამომჟღავნებაა იმ სასიცოცხლო ენერგიისა, ურომლისოდაც ერი მკვდრად უნდა ჩაითვალოს ნების ყოფას მოკლებულად.

ჩემთვის, როგორც პიროვნებისთვის, არ არსებობს კარგი და ცუდი ერი; ჩემთვის ყველა ერი ერთნაირი ღირებულებისაა. ყველასა აქვს უფლება არსებობისა და განვითარებისა, ყველასა აქვს უფლება თავისი ცხოვრების მოწყობისა ისე, როგორც თვით მასა ჰსურს. მაგრამ არ შემიძლიან შევურიგდე იმ სახელმწიფოს, რომელიც დამონების მოისურვებს, რაგინდ იდეალური წესწყობილებაც არ არსებობდეს სახელმწიფოში. ჰხდება ეს იმიტომ, რომ არც ერთს წესწყობილებას არ შეუძლება ეწოდოს იდეალური, თუ იგი თავის წიაღში ატარებს ატრიბუტებს ბატონობისას და მონობისას.

ჩემთვის, როგორც პიროვნებისთვის, ყოვლად მიუღებელი და საზიზღარი იყო რუსეთი თვითმპყრობელობისა, რადგანაც იგი ჰბორკავდა ქართველ ერს არა როგორც მოქალაქეებს, არამედ როგორც ერსაც. ქართველი ხალხი ბიუროკრატიული ჟანდარმული რუსეთის ქვეშ სულსა ლაფავდა, მისი ეკონომიური, სოციალ-პოლიტიკური და ეროვნულ-კულტურული ზრდა ხელოვნურად იზრდებოდა და ერს სრული გადაგვარებისა და ფიზიკური გადაშენების გზაზე აყენებდა. ბიუროკრატიულ ჟანდარმულმა რუსეთმა მოხელეების სათამაშო ბურთად გადააქცია საქართველო, წურბელასავით დააჯდა კისერზე და სრულს გავერანებამდე და აოხრებამდე მიიყვანა. იგი ვერაგულად უსპობდა ხალხს საშუალებას ფიზიკური გაჯანსაღებისას, იგი ხელიდან აცლიდა მიწას და გადმოსახლებულ რუსებს აძლევდა, იგი მხოლოდ გადასახადებს ართმევდა ქართველ ხალხს და სამაგიეროდ კი მათრახსა და სახრჩობელას აძლევდა.

ასეთი იყო ბიუროკრატიულ-ჟანდარმული რუსეთი, მაგრამ მისმა პოლიტიკამ ეროვნული წინააღმდეგობის გზაზე ვერ დააყენა საქართველო; ვერ აგრძნობინა მას, რომ ეს სწორედ ეროვნული გათახსირება და ეროვნული ტანჯვა იყო; რუსეთის ბიუროკრატიულ ჟანდარმულმა პოლიტიკამ ეროვნული თავმოყვარეობა ვერ შელახა და აქტიური ეროვნული მოქმედების გზაზე ვერ გამოიყვანა ქართველი ერი, მსგავსად იმ ერებისა, რომლებიც ჩვენსავით განიცდიდნენ ეროვნულ ჩაგვრას და არა ჩვენსავით იბრძოდნენ თავისუფლებისთვის.

ბიუროკრატიულ-ჟანდარმული რეჟიმი შესცვალა სარევოლიუციო რეჟიმმა, მაგრამ ვერც მან გაანთავისუფლა საქართველო პოლიტიკური მონობისაგან. ოკუპანტები დღესაც კისერზე გვასხედან; ისინი დღესაც ებრძვიან ჩვენს პოლიტიკურს განთავისუფლებას, დღესაც ყოველნაირ საშუალებას ხმარობენ, რათა საქართველომ ვერ მოახერხოს და თავი ვერ გაინთავისუფლოს იმ მონობისაგან, რომელშიაც ასის წლის გამავლობაში იმყოფება. დღესაც რუსეთის სარევოლიუციო წრეებისთვის საქართველო თავიანთი პოლიტიკური ბატონობის ობიექტია და არა ისეთი კუთხე, რომელსაც თავისი სუვერენული ნებისყოფა აქვს; დღესაც რუსეთის სარევოლიუციო წრეებს იმედი არ დაუკარგავთ, რომ თავზე მოახვიონ საქართველოს ისეთს წესწყობილებას, რანაირიც თვით მათ ჰსურთ.

ჩვენთვის არავითარი ფასი არა აქვს იმ გარემოებას, სახრჩობელას სახით შემოვა რუსეთი ჩვენში, თუ ბოლშევიკური უტოპიებით. ერთიც და მეორეც შეგნებული ქართველისთვის მიუღებელი უნდა იყოს, რადგანაც ერთიც და მეორეც არა სწყვიტავს ბატონობა-მონობის იმ დამოკიდებულებას, რომელიც დღემდის არსებობს რუსეთსა და საქართველოს შორის.

გვეუბნებიან, ამნაირად საკითხის დასმა ეხლანდელ პირობებში არ შეიძლება, რადგანაც რუსეთის მონობისაგან განთავისუფლება მოასწავებს ოსმალეთის მონობაში ჩავარდნასაო.

ადვილად შესაძლებელია ასეც მოხდეს. ვინც ერთს ბატონს ვერ ებრძვის, ის მეორესაც ადვილად დაჰმორჩილდება; ვინც სულით მონაა, გათახსირებული, მიწასთან გასწორებული, ვისაც ეროვნული თავმოყვარეობა აღარა აქვს და პოლიტიკური იდეის სიმძიმეს ვერა გრძნობს, ვინც გადაგვარებულა ფსიქიურად იმდენად, რომ ვეღარც კი ჰგრძნობს, რომ მონაა, ის, რასაკვირველია, ბატონებს ადვილად გამოიცვლის და ხან ერთ უღელში გაჰყოფს თავს და ხან მეორეში მოშინაურებული პირუტყვსავით. მაგრამ ვინც სულით თავისუფალია, ვინც მონად არ დაბადებულა, ის უპირველესად ყოვლისა თავის ბატონს შეებრძოლება, შეეცდება თავი განთავისუფლოს მონობისაგან და შემდეგ კი ბრძოლას დაუწყებს ყველას, თუნდაც მთელს ქვეყანას, თუ მან კვლავ დამონავება მოისურვა.

ჩემთვის, როგორც პიროვნებისთვის ლენინი და მისი კომისარი შაუმიანი ისეთივე კატეგორიის პიროვნებანი არიან, რანაირიც იყო ნიკოლოზი და მისი ნამესტნიკი ვორონცოვ-დაშკოვი, ამნაირ კატეგორიის პიროვნებებად დარჩებიან იმ დრომდე, სანამ საქართველოს პოლიტიკური განთავისუფლება რუსეთისაგან ფაქტად არ იქცევა. სულ სხვაა, რანაირ დამოკიდებულებას დაიჭერს განთავისუფლებული საქართველო რუსეთთან; ეს სავსებით იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად უზრუნველჰყოფს რუსეთი საქართველოს პოლიტიკურ თავისუფლებას. მანამდე კი რუსეთი ჩემთვის ბატონია და ეს ბატონი შემიძლიან ვიცნო მხოლოდ მაშინ, თუ თვით მე მონა ვარ, პირუტყვი, ქვეწარმავალი და არა შეგნებული ადამიანი.

რანაირი პოლიტიკური გზა უნდა აირჩიოს დამონავებულმა ერმა? მხოლოდ გზა თავისუფლებისთვის ბრძოლისა. კომბინაციები დიპლომატების საქმეა, პოლიტიკოსებისა; ერის გზა კი შეიძლება იყოს მხოლოდ გზა პოლიტიკური თავისუფლებისა და ბრძოლისა ამ თავისუფლებისათვის. თუ ერი თავის თავისუფლებისთვის არ იბრძვის, იგი მონობას თავს ვერასოდეს ვერ დააღწევს, სხვისი სათამაშო ბურთი იქნება და ყველა, ვისაც კი არ მოეწყინება, თავში ჩაურახუნებს. გვირახუნებდნენ ასი წელიწადი, ვეცადოთ ჩვენი ზურგი საქართველოს მტრების მათრახებმა კვლავ არ დასერონ და კვლავ საშინელი მონობის უღელი არ დაგვადგან...

არ. ჯაჯანაშვილი.

## ჩვენი მომავალი

1.

ისტორიამ უცნაურობა იცის. ასის წლის წინად ჩვენ იძულებულნი ვიყავით საკუთარ თავისუფლებაზე ხელი აგვეღო და ძლიერი რუსეთისათვის შეგვეფარებინა თავი. როგორ უნდა შევაფასოთ ეს აქტი, ერთი რამ ცხადია: ეს იყო ისტორიული აუცილებლობა, ლოღიკური დანასკვი ჩვენის უძლურებისა. ბევრი და ძლიერი საყვედური შეგვითვლია ჩვენს წინაპართათვის მე-18 საუკუნის აქტისათვის. ვამბობდით, რომ ცხოვრებას ალღო ვერ აუღეს, მოღალნენ და საკუთარის ხელით გამოიჭრეს ყელი რუსეთის ტახტის წინაშე. მაგრამ მხოლოდ ეხლა, ხელ-შესახებად, მძაფრად ვიგრძენით თუ რა ტრაღიკულ მდგომარეობაში იყო საქართველო გასულ საუკუნის დამდეგს. თუ ეხლა, როცა საქართველო გაერთიანებული იყო ადმინისტრატიულად მაინც, როცა აღმოსავლეთის ჩვენი მტერი—სპარსეთი დაუძლურებულია და პოლიტიკურს მძოვრს წარმოადგენს—ეხლაც კი იძულებული ვართ სხვას შევყურებდეთ თვალებში და საკუთარ თავისათვის ვერ მოგვივლია—მაშინ უფრო მეტი უფლება ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს ქვეყნის სახსნელად უცხო სახელმწიფოსათვის მიემართნათ. და ჩვენ ერთ საუკუნეზე მეტს ხანს ვსცხოვრობდით სახელმწიფოში, რომელმაც ჩვენში ფეხი შემოდგა როგორც პირობის დამრღვევმა, მოღალატემ და თავისი მოღვაწეობა ჩვენშივე დაასრულა ღალატითვე და ჩვენის გაყიდვით. ასეა თუ ისე ისტორიული ნაბიჯი გადადგმულია და ჩვენ თითქოს ვუბრუნდებით იმ კალაპოტს, რომლიდანაც უცხო ძალამ ამოგვაგდო: ამიერკავკასია დღეს იურიდიულად და ფაქტიურად დამოუკიდებელია და კერძოდ საქართველო პოლიტიკურ ერთეულად გადაიქცევა სულ მოკლე ხანში. რა მოგველის, რანაირია ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა?

უპირველესად ყოვლისა ერთი რამ უნდა ითქვას: დამოუკიდებლობის გამოცხადება და საზავო მოლაპარაკების დაწყება კიდევ არ ჰნიშნავს ომის ხელად გათავებას და ქვეყნის დაწყნარებას. იმ მსოფლიო ომის ცეცხლის რკალიდან რომელშიაც პატარა საქართველოც მოექცა თავისდაუნებურად —გამოსვლა არც ეგრე ადვილია. პირიქით შეიძლება ახალმა მდგომარეობამ ბევრი ისეთი რამ მოგვთხოვოს რაც დღეს ნათლად გათვალისწინებული არა გვაქვს. ჩვენ ბუნებრივად და ძალდატანებით, გართულებულ მდგომარეობის გამო ერთის კოალიციიდან გამოვედით და მეორეს დაუახლოვდით. უეჭველია ასეთი დიდი ისტორიული ამბები უმსხვერპლოდ ვერ მოხდებოდა. თუ საუკუნის წინად ერის ფიზიკურ არსებობის შესანარჩუნებლად იძულებული ვიყავით დამოუკიდებლობაზე ხელი აგვეღო—ეხლა დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, მაგრამ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მხარე—ბათომის მხარე დავკარგეთ. დიდია, განუზომელია ეს დანაკარგი, მაგრამ იმედი და სასო არ უნდა წარვიკვეთოთ და უეჭველია წელში გამაგრებული ერი შესძლებს გაერთიანებას, თავის ძმათა უკან დაბრუნებას. ყოველ შემთხვევაში დამოუკიდებლობის გამოცხადება აუცილებელი და სასურველი იყო: თუ ოსმალეთს არა აქვს აზრად კავკასიის ოკუპაცია, მაშინ საქმე უფრო კარგად არის და ადვილადაც მოგვარდება. ხოლო თუ ოკუპაცია კავკასიისა ოსმალეთს გადაწყვეტილი აქვს — არც მაშინ იცვლება გარემოება. ჩვენ გვირჩევნია თავისუფლების და დამოუკიდებლობის დროშის ქვეშ სიკვდილი, ვიდრე გახრწნილ და უკვე აშმორებულ რუსეთის ჭუჭყიან კალთაში დაბრუნება ისევ და ისევ უბათომოდ: უყარსოდ და უარტაანოდ. ამას დაურთეთ ბოლშევიზმი და შავი რეაქცია, რომელიც აუცილებლად მოჰყვება ამ არევდარევას. მე ჯერ კიდევ იანვრის დამდეგს მქონდა შემთხვევა მეთქვა, რომ რუსეთის რეაქციას ჩვენ უნდა დაუხვდეთ არა მარტო გაერთიანებული რევოლიუციონური, არამედ გაერთიანებული ეროვნული ფრონტით. თუ ჩვენ რაიმე სახელმწიფოებრივი ორგანიზმი არ შევქმენით—ჩვენ მოგვსპობენ არა მარტო როგორც რევოლიუციონერებს და სოციალისტებს, არამედ როგორც ერს—მეთქი. თუ ეს სიმართლე იყო მაშინ, უდიდესი ჭეშმარიტებაა დღეს. დღეს უკვე დამოუკიდებლობა გვაქვს. მაგრამ ამ დამოუკიდებლობას დაცვა უნდა, თავისუფლებას დარაჯობა სჭირიან.

ჩვენ უეჭველია მოგვიხდება, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს გერმანიასთან კონტაქტი. თუ მან საბოლოოდ აღიარა კავკასია ბუფერად, უეჭველია იგი მოგვთხოვს ჩვენც ამ ბუფერის დაცვას და თითონაც დაიცავს. ორიენტაცია ძირითადად შეიცვალა და ეს აუცილებელიც იყო: საქართველო დღეს ძალა-უნებურად გერმანიის გავლენის ქვეშ იქნება და ჩვენც მასთან დავკავშირდით. ეს ეხლავე უნდა ვიცოდეთ და ყველაფრისათვის მზად ვიყვნეთ.

ვიმეორებთ, უდიდესი ამბავი მოხდა მაგრამ რატომ არ ისმის მხიარულების ყიჟინა. რატომ შესაფერისად არ ვდღესასწაულობთ ჩვენი პოლიტიკური ორგანიზმის მკვდრეთით აღდგომას?

ჩვენ მოვიღალეთ და სიხარულის ენერგიაც აღარ შეგვწევს. ჩვენ დავიქანცეთ და ისე შევეჩვიეთ ბედის ცვალებადობას, რომ ვერც კი წარმოგვიდგენია სასიკეთო რამ დაგვემართოს

# საქართველოს ეკონომიკა და დემოკრატიის პოლიტიკა

1.

ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფედერაციის გამოცხადება ორ მოვლენას გულისხმობს, საკუთარ და საერთო ცხოვრების მოგვარებას, ავტონომიას და ფედერაციას, დამოუკიდებლობას და დამოკიდებულებას. ამიერკავკასიის ფედერაციაში საქართველოს როგორც ერთს ფედერატს საკუთარი პარლამენტი ექნება, საკუთარი კანონმდებლობა. სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მთელი საეკონომიო ცხოვრება შეფარდებული იქნება რეალურ ცხოვრების ინტერესებთან, ერთი სიტყვით, ეროვნულ ცხოვრებას საფუძველი ეყრება და ეროვნულ პოლიტიკის წარმოებას ვიწყებთ.

მეტად ცუდ მდგომარეობაშია ამიერ კავკასიის დამოუკიდებლობა გამოცხადებული. ფინანსიური კრიზისი, დანგრეული მრეწველობა, დამშეული ვაჭრობა, მოუწყობელი მიწისმფლობელობა და მიწისსარგებლობა—აი კონტურები ჩვენი დღევანდელი ცხოვრებისა.

ერთი რამ არის ჩვენთვის საჭირო: სიმდიდრე: სიმდიდრის შეძენა კი მოგებით შეიძლება. მოგების პრინციპი სარჩულად უნდა დაედოს ჩვენს კანონმდებლობას, მუშაობას. მოგების პოლიტიკა მთელი ერისათვის არის სასარგებლო, ის დააკმაყოფილებს მუშათა კლასსაც.

რაც შეიძლება მეტი გავყიდოთ, რაც შეიძლება სასარგებლო ბაზარი მოვნახოთ, რაც შეიძლება იაფად ვიყიდოთ საქონელი—აი არსებითად რა პოლიტიკას უნდა დაადგეს ჩვენი დემოკრატია.

ამ მიზანისათვის სათანადო პირობების შექმნაა საჭირო: რეფორმები, წესები, გარკვეული პოლიტიკა. დღეს ცხარე საკანონმდებლო მუშაობის ხანა იწყება, ეხლა გვჭირია თეორია, პროგრამა, სტატისტიკა, ისტორია, პოლიტიკური ეკონომია.

ეხლა კონსტიტუცია უნდა შევამუშაოთ, რეფორმები გავატაროთ, საფინანსო და საეკონომიო პოლიტიკას საფუძველი ჩაუყაროთ. რა გზას უნდა დავადგეთ ეკონომიკაში? როგორ განვავითაროთ ცხოვრებას, რა ზომით დავიცვათ დემოკრატიის ინტერესებს?

ვაჭრობა მრეწველობის და სოფლის მეურნეობისათვის ეხლავე უნდა გამოვარკვიოთ ჩვენი დამოკიდებულება, პოლიტიკა. მართალია ამ საკითხის შესწავლას ჩვენი პრესა თითქმის ყურადღებასაც არ აქცევს და წყალწყალა სადემაგოგიო ფურცლებით ფიქრობენ დიდი საქმეების გაკეთებას, მაგრამ ჩვენ მოვალენი ვართ ტრადიციას უღალატოთ და საქმიან აზრების განხილვა-წარმოდგენას მივმართოთ.

პირველ-ყოვლისა საქართველოს ეკონომიური ცხოვრების სურათი უნდა წარმოვიდგინოთ. ამ მხრივ ძალიან დამაფიქრებელია ქართველ ხალხის მდგომარეობა. 47 წლის წინად გააკეთეს ჩვენში პირველი რკინის გზა, მოაწყვეს ტელეგრაფი და საქართველო მავთულებით დაუკავშირეს რუსეთის იმპერიას, მაგრამ იქვე უნდა აღვნიშნოთ—ძირითადი ეკონომიური ცვლილება და ქვეყნის ეკონომიურად დაწინაურება ამ მოვლენას ოდნავადაც არ გამოუწვევია. უეჭველია: ქართველ ხალხის ქონებრივი მდგომარეობა შეირყა, შეიცვალა, ძალთა მოძრაობა გაჩაღდა და საზოგადოებრიობა გართულდა, მაგრამ ყოველგვარი სირთულე ოდნავადაც არ მოასწავებს კაპიტალისტურ კულტურას, სწორედ ისე, როგორც ყოველგვარი ქონებრივი სივიწროვე არ ნიშნავს კაპიტალისტების და პროლეტარების გაჩენას.

მთელი მეცხრამეტე საუკუნე ქართველ ხალხის ეკონომიურ ცხოვრებისათვის იყო დაქვეითების და დაძაბუნების საუკუნედ. ხან გამოშვებით ქართულ პრესაში შეეხებოდნენ ხოლმე საქართველოს ეკონომიურ მდგომარეობის ზოგიერთ ციფრებს, მასალებს, მაგრამ ისე გულუბრყვილოდ სარგებლობდნენ ძვირფას მასალით, რომ დაახლოვებითაც ვერ წარმოგვიდგენენ საქართველოს ცხოვრების ნამდვილი სურათება. ქართველი ეკონომისტები ითვალისწინებდნენ იმ გარემოებას, რომ რკინის გზის მუშაობა ძლიერდებოდა, ყოველი ვერსტი იძლეოდა 1874 წელს სარგებელს 4.800 მანეთს, ხოლო მეცხრამეტე საუკუნის დამლევს 15 ათას მანეთს, მაგრამ არავინ იძიებდა თუ საიდან მოდიოდა ეს სარგებელი, იყო თუ არა იგი გამოწვეული შინაურ ცხოვრებით, საქართველოს ეკონომიურ აღებ-მიცემობის განცხოველებით. [illegible] იზრდებოდა ქალაქები, დიდ თანხას [illegible] ქალაქთა ხარჯთ აღრიცხვა, მოძრაობის, მიმოსვლის ქარცეცხლში გაეხვია სოფლის ხალხიც, მაგრამ იყო კი ყოველივე ეს გამოწვეული ქართულ ეკონომიკის აღდგენით, გაძლიერებით? ნამდვილად ჩვენ საკვირველი, მაგრამ შემდეგი ფაქტი გვიშლება თვალების წინ. სოფლის ხალხი მართლა ამოძრავდა, მაგრამ საქონლის შექმნისათვის კი არა, რომ გაჰქონდეს იგი ბაზარში, იმიტომ კი არ მრავლდება ქალაქები, რომ ახალ მრეწველობის ენერგია დიდძალ ხალხს იზიდავდა, არამედ სულ სხვა მიზეზით.

სოფელი გაღატაკდა, ყოველგვარი წარმოება დაეცა და უდიდესად ნაყოფიერი ქვეყანა ძუნწი შეიქმნა ხალხისათვის. დამშეული და გაფცქვნილი ხალხი, რომელიც გაღატაკდა მთავრობის პოლიტიკით ეთხოვებოდა სოფელს და მიდიოდა უმთავრესად არა ჩვენს სამრეწველო ცენტრებში, რომელიც ვერ დააკმაყოფილებდა ჩვენი ხალხის ფიზიკურ ენერგიას, არამედ გადიოდა უცხოეთში. საქართველოს ქალაქებში გროვდებოდნენ უცხო ელემენტები, გადმოსახლებულები, მოხელეები, სხვა და სხვა ჯურის სპეციალისტები, დილეტანტები, რომელთათვის ხელოვნურად შექმნილი იყო ხელსაყრელი პირობები.

მეცხრამეტე საუკუნეში ქართველ ხალხის სამრეწველო ენერგია დაქვეითდა, დაეცა. ძველს საქართველოში მოდიოდა პურიც, მატყლიც, ძაფიც, სპილენძიც, ოქროც, ჭურჭლის კეთების ხელოვნება, ქსოვა, ქარგვა, ლითონის ჩამოსხმა არსებობდა. მაგრამ ვკითხოთ დღეს: მეცხრამეტე საუკუნეში ჩვენ რითი ვსცხოვრობთ, რა ჩვენი აღებ-მიცემობა? რა გაგვაქვს ბაზარში? რას ვყიდით? რას ვყიდულობთ? საით მივდივართ ამ მხრივ? ყველა ამ საკითხის გაცნობა ჩვენ სავალალო მდგომარეობაში გვაგდებს.

რუსეთის მრისხანე თვითმპყრობელობა რომ დამკვიდრდა ჩვენში მხოლოდ მიწა-ღა შეგვრჩა საწარმოებლად. მიწის ნაყოფით საზრდოობდა ჩვენი, როგორც ცხოველები და პირველ ყოფილი ადამიანები ცხოვრების ერთ-ერთი [illegible] მიწაში ჰპოულობდნენ. თუ როგორ ვაწარმოებთ დღესაც მიწის მუშაობას ეს ყველას კარგად მოეხსენება. ჩვენ მიწა გვაქვს მაგრამ მიწის ბუნება, ხასიათი, თვისება არც ერთმა გლეხმა არ უწყის, არ ვიცით მიწის შემადგენელი ელემენტები, მცენარეულობას არ ვიცნობთ, ფლორა, ფაუნა, ზოოტეხნიკა, წყლისა და ჰაერის ძალას არავითარ ანგარიშს არ უწევთ. აგრონომია დემოკრატიისათვის კი არ არსებობს, მხოლოდ ზოგიერთ რჩეულისათვის. ყოველივე ეს მწარე ფიქრის და გოდების ნაყოფი როდია, ისეთი სინამდვილეა, რომ [illegible] ონომიო კულტურის სტა[illegible] ამტკიცებს.

მართლაც, რკინის გზის გაკეთებას საქართველოში დიდი მნიშვნელობა იმ მხრივ მაინც ჰქონდა ცხოვრებისათვის რომ ჩვენი ხალხი საეკონომიო და საკულტურო ენერგია გამოაშკარავა. რკინის გზა აღებ-მიცემობის უმთავრესი საშუალებაა, იგი სარკეა, მეურნეობის და ვაჭრობის ტემპერატურისა და სარკინიგზო სტატისტიკაც ძალიან საინტერესო სურათს გვიჩვენებს ჩვენი ეკონომიკის ევოლიუციის შესასწავლად. საილუსტრაციოთ ჩვენ ავიღოთ პირველი ხანა რკინის გზით საქონლის მიმოტრიალისა. 1874 წ. გატანილია გასაყიდად:

| | სულ | ამაში ხე-ტყე, სიმინდი, ხორბალი, ქერი, ამერიკული, ბოსტნეული |
|---|---|---|
| ახალ-სენაკიდან | 4327 ათასი ფუთი | 4220 ათასი ფუთი |
| სამტრედიიდან | 321 „ „ | 250 „ „ |
| ქუთაისიდან | 203 „ „ | 180 „ „ |
| მიხაილოვოდან | 191 „ „ | 150 „ „ |
| გორიდან | 300 „ „ | 250 „ „ |

ავიღოთ ეხლა შემდეგი ხანა, ოცი წლის შემდგომი დრო და ვნახოთ რა ცვლილება მომხდარა საქართველოს ეკონომიკაში 1893 წელს *) გაუტანიათ:

*) დღევანდელ მდგომარეობის შესახებ ძალიან დაწვრილებით გვექნება ლაპარაკი ჩვენს ნაშრომში—„აგრარული საკითხი საქართველოში“.

ჩვენ თითქოს გული გაგვიტყდა, თითქოს ადარაფრის დაჯერება შეგვიძლიან. ასეთია ჩვენი სულიერი განწყობილება.

მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც მართლაც ფრთებს გვაქვეცს, და სიხარულის გრძნობას გზას უხშობს. ჩვენ ვსთქვით, რომ ბრძოლა ჯერ არ გათავებულა. არამც თუ არ გათავებულა, შეიძლება იგი უფრო მკაცრიც იყოს მომავალში. ხალხი ამას გრძნობს ინსტინქტიურად და დაფიქრებულია. ჩვენ ნორჩ თავისუფლებას ბევრი შინაური და გარეშე მტერი ჰყავს.

ვინ არიან ეს მტრები? ამაზე შემდეგ.

ქ. რაჭველიშვილი.

# ქართული პრესა

გაზეთი „ერთობა“ აღნიშნავს, თუ რანაირი ჯურის მტრები გაუჩნდნენ ამიერკავკასიის ნორჩ რესპუბლიკას. მტერთა შორის პირველი ადგილი უკავიათ იმ რუს მოხელეებს, რომლებიც ჯერ ისევ ძველი, ბიუროკრატიული მთავრობის მიერ არიან დანიშნულნი. მათ, რასაკვირველია, ზურგს უმაგრებენ ყოველნაირი ყოფილი პოლიციელები, ჟანდარმები და შავრაზმელები, რომლებიც დღეს გადაცმულნი დადიან ხალხში და ათასნაირ ჭორებს ავრცელებენ. მაგრამ ამ ჯურის მტრებს ზურგს უმაგრებენ ცრუ-სოციალისტებიც, რომლებიც სოც.-რევოლიუციონერების ნიღაბს ამოეფარებიან და რომლებსაც, სხვათა შორის, უკვე ჩამოშორდნენ ნამდვილი სოციალისტ-რევოლიუციონერები, რომელთაც ეროვნებათა პოლიტიკური განთავისუფლება სასურველ საქმეთ მიაჩნიათ. აი, ამნაირ ცრუ-სოციალისტების შესახებ გაზეთი „ერთობა“ სწერს:

„მაგრამ მათ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გვერდში ამოუდგენ ცრუ-სოციალისტური პარტიები და უარეს განგაშს ეწევიან. ვიცით, თუ რა ჯურის სოციალისტები არიან ეს ვაჟბატონები! ისინი საქვეყნოთ გაიძახიან ამიერკავკასიის დემოკრატიის მოღალატეობაზე და თითონ თავი წმინდა წყლის სოციალისტებათ მოაქვთ.

ჩვენ ისინი პრინციპების მოღალატეობას გვიკიჟინებენ და ამ ნიადაგზე დემაგოგიურ აგიტაციას ეწევიან, მაგრამ ცრუ-სოციალისტებს დავიწყებიათ სოციალდემოკრატიული პროგრამა, მისი ერთა თვითგამორკვევის პრინციპი,

ერთა თვითგამორკვევა უმაღლესი პრინციპია და იგი ამა თუ იმ ერის სრულ დამოუკიდებლობასაც შეიცავს. სრული გამოყოფა და სხვა რომელიმე ფორმა პრაქტიკული საკითხია და იგი დროისა და გარემოების მიხედვით სწყდება.

ცნობილი მარქსისტი კარლ კაუცკი ერთ თავის შესანიშნავ ნაწარმოებში ამბობს: რუსეთში სხვა და სხვა ერები განაპირა კუთხეებში ცხოვრობენ. ამ ერებს, განსაკუთრებით კი კავკასიას თავისუფლად შეუძლიან გამოეყოს ცენტრალურ რუსეთს და ამით არც ცენტრალურ და არც კავკასიის დემოკრატიას არაფერი დაუშავდებაო.

დღეს, როცა ისეთი მდგომარეობა შეიქნა, რომ ამიერკავკასიის დემოკრატიამ თავისი საკუთარი ძალღონით უნდა დაიცვას თავისი ფიზიკური არსებობა, იგი იძულებული გახდა ჩვენი კუთხე დამოუკიდებელ ფედერატიულ, დემოკრატიულ რესპუბლიკათ გამოეცხადებია და ყველი მუშა, შეგნებული დემოკრატია მის არსებობას დაიცავს და არავის ნებას არ მისცემს იგი გადალახოს. სულ ერთია საიდან იქნება ასეთი საფრთხე: აღმოსავლეთიდან, თუ ჩრდილოეთიდან“.

იმავე „ერთობა“-ში დაბეჭდილია წერილი, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ჩვენ ვერ მოვახერხებთ დამოუკიდებლობის დაცვას, თუ ძალა არ გავიჩინეთ.

„მწარე გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ საზავო მოლაპარაკება ვერ მოგვცემს შვებას, თუ იარაღით არ ვართ გამაგრებული, მთავრობა ვერ შესძლებს დავალებულ მოვალეობის ასრულებას, ვერ ჩამოაგდებს ზავს, თუ მას ჯარმა არ გაუმაგრა ზურგი. ზავი ხომ შეთანხმებას, შერიგებას გულისხმობს და რომელი იმპერიალისტური სახელმწიფო იქნება, რომ დაგითმოს, თუ კი წინააღმდეგობას არ დაინახავს. თუ ჩვენ არ გვსურს თავის დაცვა, თუ ბრძოლის უნარი არ შეგვწევს, მაშინ ლაპარაკი შეიძლებოდა არა ზავზე, არამედ დამორჩილებაზე. შეგვიძლია თუ არა ჩვენ დამორჩილებაზე ლაპარაკი? სანამ მტერი შორს იყო, დიდი გასავალი ჰქონდა ბალშევიკურ ქადაგებას: რისთვის გვჭირია ბათომი, ეს ხომ ბურჟუების საქმეაო და ხალხიც გულგრილათ უცქეროდა ბათომის ბედს. მაგრამ დღეს ყველასათვის ცხადია, თუ რას უნდა მოველოდეთ ოსმალეთისაგან; დღეს ის უკვე შემოიჭრა დასავლეთ საქართველოს საზღვრებში, გურიის მიდამოებში თარეშობს და თუ დროზე ზომები არ მივიღეთ, ახალციხიდან ბორჯომ ხაშურს მოადგება, რკინის გზას გადასჭრის და საქართველოს ორათ გაჰკვეთს, იმერეთ - გურიას და ქართლ - კახეთს ერთმანეთს მოაშორებს: დეე ბათომის და ტრაპიზონის მაგალითმა გაგვაფრთხილოს და გაორკეცებულის ენერგიით მოგვაკიდებინოს ხელი თავდაცვის საქმისათვის. ამას გვავალებს ჩვენი მომავალი, ამას გვავალებს ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის ბედ-იღბალი“.

მაგრამ მარტო შეიარაღებული ძალა არა კმარა, საჭიროა ანარქიის მოსპობაც.

„მაგრამ მარტო იარაღი არ კმარა,—განაგრძობს გაზეთი,—რუსეთში გამეფებული ანარქია, არ ვიცით, სადამდე მიიყვანს მეურნეობის დაცემას. დღემდის ჩვენ რუსეთის პურით ვიკვებებოდით, მაგრამ თუ იქ სამოქალაქო ცხოვრება ვერ მოეწყო, თუ ბაქო და შავი ზღვის ნაპირები მალე არ გაიწმინდა ბალშევიკებისაგან, რუსეთიდან პურის შემოტანა შეუძლებელი გახდება და ჩვენც დამშევა არ აგვცდება. ამიტომ ვაჟკაცები და გამოცდილი მეომრები ჯარში უნდა წავიდნენ, ხოლო დანარჩენებმა ყანების დამუშავებას უნდა მოჰკიდონ ხელი. არც ერთი ადლი მიწა დაუთესავი და დაუმუშავებელი არ უნდა დარჩეს. ქვეყანას იცავს ის, ვინც იარაღში ჯდება, მაგრამ მინდვრებში მუშაობაც ქვეყნის თავდაცვას უწყობს ხელს.

ტკივილებში და გაჭირვებაში იშვა ჩვენი თავისუფლება, ჩვენს დამოუკიდებლობას, ჩვენს ნორჩ რესპუბლიკას აუარებელი მტერი ახვევია გარს. ჩვენი მოქალაქობრივი მოვალეობაა დავიცვათ ის როგორც შინაურ ანარქიისა და ეკონომიურ არევ-დარევისაგან, ისე გარეშე მტრის შემოსევისაგან.

საბედისწერო ჟამი დადგა და დემოკრატიამ ახლა უნდა გამოიჩინოს თავისი სიმწიფე. ან სიცოცხლე. ან სიკვდილი—სხვა გზა არ არსებობს“.

# ღალატი.

ცხარე ბრძოლაში ვინც დაიხოცნენ,
ვინც დაგვითრგუნა დღე მუხანათი,
ვინც მოგვიპოვა ღვთიური ჯვარცმით
თავისუფლების წმინდა სანათი—
აღარ არიან... წარხდა ყოველი...
წარხდა ყოველი დიდება მათი
და შავი ხალხის შავი გულიდან
შავი ნისლის ფრად აღსდგა ღალატი.

თვით იგი, ვისაც ჩვენი სიცოცხლე
ჩავაცვით ტანთა ძმობისად მნათი,
ვისაც დავადგით თავისუფლების
ყვავილთა ჯიღა ტკბილ ოსანათი—
იმან პირველმა ჩაგვიქრო რწმენა,
საკურთხეველზე მშვიდათ დამნათი
და თავს დაგვადო გარესკნელ ღამედ
შავი ღალატი, შავი ღალატი!

მტერია ყველგან... ცრუვად ნისლებში
შედგა მყინვარი და არარატი
და სადღა ვპოვო მშობელთა იქით
ნდობა-სინდისის ცეცხლ-ანდამატი?
სადღაა შვება და სასოება?
სადღაა ღმერთი? სადღაა ხატი?
ყველგან ჯანღია მწუხარებისა—
ყველგან ღალატი! ყველგან ღალატი!

# ეჰ, მშვენიერო!

ეჰ, მშვენიერო, ნუ აიწევ ჩემზედან მაგრე,
ნურც იმას მეტყვი „მოღალატე შენი აქ „მე“ ა...
ბევრი დაეცა ქვეყანაზე ციხე-სიმაგრე
და განა დღეს რომ მე დავეცე, დიდი საქმეა?
მაგრამ იმდენად კიდევა ვარ მტკიცე, ძლიერი,
კვლავ იმდენი მაქვს თავის თავის მე სიყვარული,
რომ შემიძლიან სამუდამოდ გავდევნო მტერი
ჩემს ობოლ გულში ტრფობის სახით შემოპარული.

1918 წ. 8 აპრილი.

ი. მჭედლიშვილი

| | ათასი ფუთი | | ამაში | ათასი ფუთი | |
|---|---|---|---|---|---|
| ნატახტრიდან | . | 380 | ამაში | 236 | შეშა და სიმინდი. |
| სურამიდან . | . | 580 | " | 470 | " " |
| ლანჩხუთიდან | . | 421 | " | 391 | სიმინდი |
| საჯავახოდან . | . | 855 | " | 620 | " |
| აბაშიდან | . | 588 | " | 522 | " |
| ქუთაისიდან | . | 628 | " | 400 | ქვა, ბჟური, ხორბალი. |
| ყვირილიდან | . | 7352 | " | 7224 | მარგანეცი, ღვინო. |
| შორაპანი | . | 866 | " | 853 | " |
| წიფა . | . | 239 | " | 203 | შეშა |
| მიხაილოვო | . | 612 | " | 400 | ხორბალი, ბალახი, ქარტოფილი, ხილი. |
| გომში. | . | 1890 | " | 700 | ხე-ტყე, ბალახი, ხორბ., ქერი. |

ამ ცნობებიდან ვხედავთ შემდეგს: მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ჩვენი საქონელი გადაუმუშავებელი, ნედლი მასალაა, ჩვენ გაგვიყიდია სიმინდი, შეშა, სახლის ასაგები მასალა, ღვინო, ნახშირი და ბოსტნეული. მდგომარეობა დღესაც სრულიად არ შეცვლილა. ეხლაც სიმინდით და შეშით ვაჭრობს ჩვენი ხალხი, ეხლაც ხილი, ბოსტნეული და სხვა ისეთი საქონლით ვცხოვრობთ, რომელიც მუდამ შეადგენდა ჩვენი ხალხის შრომის საგანს. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ამ საქმეშიაც ვერ დავწინაურდით. უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის აუცილებლად საჭიროა მრეწველობის განვითარება. სამრეწველო შრომის ნაყოფი, მანქანები, რკინა, სათბობი მასალა, საშრობი ძალიან ესაჭიროება ჩვენს ქვეყანას, მაგრამ ჩვენ ასეთ საგნების დამზადებისათვის სრულიადაც არა ვართ მომზადებულნი. საქართველოში არც ერთი საამისო ქარხანა არ არსებობს. ტეხნიკურად მოუწყობელი მეურნეობის დროს მიწა მალე იფიტება, სიმსუქნეს, ნაყოფიერობას ჰკარგავს მხოლოდ ამ ობიექტიურ პირობებით უნდა აიხსნას, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგომარეობა ბოლო დროს პირდაპირ საბედისწერო ხდება. ასე იყო თუ ისე ჩვენ სამეურნეო ნაწარმოები მაინც გაგვქონდა, სტატისტიკური ცნობებიდან ვხედავთ, რომ ზღვით საზღვარ გარეთ გაგვიტანია სიმინდი, იმ დროს:

1892 წელს—6754026 ფუთი.
1893 „ —6482998 „
1894 „ —7358740 „

მაგრამ საქართველოს საქონლის ამ უმთავრეს დარგს ექსპორტისას ცუდი დღე მოელის რუსეთის ხორბლეულის მეტოქეობის გამო. შეიძლება რუსეთმა ისევე კრიტიკული მდგომარეობა შეუქმნას ჩვენი ქვეყნის მეურნეობას, როგორც ეს ამერიკა-არგენტინამ დაუყენა ევროპას, ყოველ შემთხვევაში სტატისტიკური ცნობები ფრიად საბედისწერო სურათს გვიჩვენებს. რუსეთიდან ჩვენს ქვეყანაში შემოტანილ სხვა და სხვა ხორბალი:

1891 წ.— 785,719 ფუთი.
1892 „ — 769,334 „
1893 „—3,904,623 „
1894 „—3,776,891 „

ეს უმაგალითოდ სწრაფი ზრდა რუსეთის ხორბლეულის შემოტანისა ჩვენს ქვეყანაში მეტის-მეტად დამაფიქრებელი მოვლენაა ქართველი ხალხის ეკონომიური კეთილდღეობისათვის. ეს ნამდვილი ნიშანია ჩვენი მეურნეობის დაცემისა, დაუძლურებისა. ამ აზრს ციფრებიც გვიმტკიცებენ. შავი ზღვით წარმოებული სიმინდის ვაჭრობა მეოთხმოცდაათე წლებში თითქმის ერთ წერტილზე გაიყინა და შემდეგში ძლიერ შემცირდა. ხორბლეული გაგვქონდა უცხოეთში არა მარტო შავი ზღვით, ბაქოს მხრივაც. ასე მაგალითად ბაქოს, ფოთის და ბათომის სადგურებიდან გაუტანიათ ხორბლეული:

1891 წ.—4.368.214 ფუთი.
1892 „—3.962.065 „
1893 „—2.593.345 „
1894 „—2.465.204 „

თან და თან ნაკლები გაგვაქვს ჩვენი საქონელი, თან და თან მეტი შემოგვაქვს რუსეთის საქონელი. ეკონომიური პოლიტიკოსისათვის აშკარა მდგომარეობაა: რუსეთი სჭამს და ღუპავს საქართველოს. ჩვენ ვიცოდით ერთი რამ: **რუსეთმა მრეწველობის მხრივ მოხპო საქართველო, ეხლა მეორე მოვლენაც თვალსაჩინოა: რუსეთი მეურნეობის მხრივაც სპობს საქართველოს.** აი ეთია რეალური მდგომარეობა, რომლის მიხედვით საქართველოს ვაჭრობა-მრეწველობის და მიწადმოქმედების სამინისტროს მართებს მტკიცე სათანადო მფარველობითი პოლიტიკის გაჩენა.

თედო ღლონტი.

# ოფიციალური დეპეშები

1918 წლის 12 აპრილი, 12 საათი.

**ზღვის სანაპიროების მიმართულებით** მდგომარეობა უცვლელია.

**ახალციხის რაიონში** 10 აპრილს, საღამოს მაჰმადიანთა 2 ბატალიონმა იერიში მიიტანა სოფ. საკირეზე, რომელიც აწყვერს 10 ვერსით არის დაშორებული და დაიკავა ჩვენი პოზიციები. მათ წინააღმდეგ ჩვენი წითელი რაზმელები გავგზავნეთ. რომელთაც ძლიერი იერიში მიიტანეს და დაატოვებინეს მტერს თხრილები.

**ხარაჯამიშის მიმართულებით** 11 აპრილს ოსმალოები ყარსის ფორტებს მიუახლოვდნენ დასავლეთით და ჩრდილოეთით. დღეს ჩვენმა საველე ნაწილებმა მთელი ფრონტით მიიტანეს იერიში სოფ. მაცრას ჩრდილოეთით, რომელიც ყარსის ჩრდილოეთით არის 12 ვერსის მანძილზე და სამხრეთით სოფ. ვეზინ-კეისთან, რომელიც ყარსის აღმოსავლეთით არის 12 ვერსზე.

—

**12 საათზე, ყარსის ციხის ფრონტზე დადებულ საზავო პირობების თანახმად, ყარსის დასავლეთის ფორტები ოსმალოებს გადაეცა. მოლაპარაკება წინასწარი ზავისა და ყარსის ევაკუაციის შესახებ გრძელდება.**

შატილოვი.

# რადიო-დეპეშები

**ინგლისის რადიო სადგურიდან** 22 აპრილს (ახ. სტ.) მოკავშირეთა პოზიციები დიდად საიმედოა. გერმანელების იერიშები ამიენის და არასის რაიონებში უნაყოფოდ დამთავრდა და დიდი ზიანი მიაყენა გერმანელებს. მტერს საშუალება არა აქვს ბარგის გადატანის. დოკუმენტები, რომელიც მტერს წავართვით, ვპოვეთ გერმანიის ბრძანება, რომელიც აუწყებდა ჯარებს ამიენის და ლაგრანიონის აღებას და 25 ათასი ინგლისელი ტყვეების წამოყვანას. ეს დოკუმენტი ვიპოვეთ იმ დღის წინად, როდესაც გერმანელებმა მოიტანეს იერიშები აღნიშნულ პუნქტებზე. ამ ბრძოლაში ჩვენ მიერ იქმნა მიღებული ყოველგვარი ზომა, რომ მტერს არ ჩაეგდო ხელში ჩვენი ზარბაზნები, და ის უმნიშვნელო რიცხვი ზარბაზნების, რომელნიც ჩვენ დავსტოვეთ, მტერს არავითარ ნაყოფს არ მოუტანს. მიუხედავად ყოველგვარ ზომების, რომელთაც ისინი ხმარობდნენ ჩვენ მიერ დატოვებულ პოზიციების გასამაგრებლად მათი მოქმედება უნაყოფოდ დამთავრდა.

გერმანელების განზრახვა—ბელგიელების წინააღმდეგ ბრძოლა—გერმანელებისათვის ცუდად დამთავრდა. გაიმარჯვეს ბელგიელებმა რომელთა რიცხვი მტრის რიცხვზე ბევრად ნაკლები იყო. აქ გერმანელები დიდად დამარცხდნენ. სამხრეთით ფრანგების და ინგლისელების შეერთებულმა ძალებმა უკან დაახევიეს ავსტრიის და გერმანელების ჯარებს. აღსანიშნავია, რომ ავსტრია-გერმანიის ტრანსპორტი გადააქვთ პატარა ფურგუნებით, რომელშიაც გაბმულია პატარა რუსული ცხენები. ტყვეები მოგვითხრობენ რომ ტრანსპორტის საქმე გერმანელებისათვის ეხლა დიდ გასაჭირს წარმოადგენს. გერმანიის ოფიცრები იძულებულნი არიან იარონ „პონით“.

**უკრაინა.** ჩვენი ჯარები გენერალ კონის წინამძღოლობით მიუახლოვდნენ სიმფეროპოლს.

**კავკასიის ფრონტი.** (სტამბოლის ცნობა). ჩვენი ჯარები განაგრძობენ წინსვლას ყარსის მიდამოებში. ბათომის იქით სწარმოებს ბრძოლა.

# ცირკულიარი მთავრობის

ყველა საგუბერნიო და საოლქო კომისრებს, ბაქოს უფროსს და ტფილისის მილიციის უფროსს, ამიერკავკასიის მთავრობა 10 აპრილს აუწყებს: ამიერკავკასიის სეიმმა 9 აპრილის სხდომაზე გადასწყვიტა გამოაცხადოს ამიერკავკასია დამოუკიდებელ ფედერატიულ-დემოკრატიულ რესპუბლიკად. ამიერკავკასიის სეიმმა დაადასტურა ქვეყნის ის ფაქტიური მდგომარეობა, რომელიც გამოიწვია ბოლშევიკურ მთავრობის გამეფებამ. დღეიდან ამიერკავკასია სრულიად მოწყვეტილია რუსეთიდან და შეუდგა თავის საკუთარ სახელმწიფოებრივ ცხოვრების აღდგენას. ანარქია, შეუჩერებლად რომ გამეფებულია რუსეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე—ჩრდილოეთიდან უახლოვდება ჩვენს ქვეყანას—და თავის გამარჯვებით რევოლიუციას დიდ ზიანს აყენებს და განსაცდელს უმზადებს. სიბოროტესთან საბრძოლველად და მშვიდობიანობის ჩამოგდებისათვის ამიერკავკასიისა და მეზობელ სახელმწიფოს (ოსმალეთის) მცხოვრებლებს შუა, განამტკიცებს კეთილმეზობრულ ურთიერთობას. ამიერკავკასია მიიღებს ყოველგვარ ზომებს აგრეთვე საზავო მოლაპარაკების განახლებისთვის.

ამას მიზნად ექნება დასახული საპატიო ზავის შეკვრა, ურომლისოდაც შეუძლებელია შინაური ნგრევის შეჩერება, და რევოლიუციით მოპოვებულ ცვლილებათა განხორციელება. რათა ამ გზით ვიწყოთ სიარული, ამიერკავკასიის დემოკრატიას უნდა ახსოვდეს; რომ საჭიროა შეერთებული ძალით მუშაობა. მხოლოდ ამ შემთხვევაში ამიერკავკასიის მცხოვრებლები შეინარჩუნებენ დამოუკიდებლობას ყოველგვარ წინააღმდეგობის მიუხედავად საიდანაც ისინი არ გამოდიოდნენ. რევოლიუციონურ მთავრობის წარმომადგენლებმა უნდა გაითვალისწინონ ყველა ეს და ის პირობები, რომელთაც ახალ სახელმწიფოს უხდება ბრძოლა ქვეყნის ნგრევის წინააღმდეგ და მტკიცე საძირკველს უყრის დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. ამ მიზნით საჭიროა მოიხმაროთ ყოველივე ზომა ანარქიული ძარცვა-გლეჯის და საერთაშორისო ბრძოლის შესაჩერებლად, მხოლოდ ანარქიის დაუზოგავად ლიკვიდაციის შემდეგ ამიერკავკასია გახდება ნამდვილ ძლიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. გთხოვთ ეს დადგენილება მიიღოთ როგორც სახელმძღვანელო და იგი აუწყოთ მცხოვრებლებს მოსამსახურეთა და დაწესებულებათა დახმარებით.

ხელს აწერენ; ნ. რამიშვილი და ვიცე-დირექტორი მენდელევი.

# ახალი ამბავი

◆ **ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის** გამოცხადების შესახებ აკ. ჩხენკელმა 10 აპრილს ღამით შემდეგი დეპეშა დაუგზავნა ყველა სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებს: პეტროგრადსა, ბერლინსა, ლონდონსა, სტამბოლსა, პარიზსა, ვენასა, რომსა, ვაშინგტონსა, ტოკიოსა, სოფიასა, სტოკჰოლმსა, მადრიდსა, კიევსა, თეირანსა, ქრისტიანიასა, კოპენჰაგენსა და ჰააგაში:

„ამიერკავკასიის სეიმმა 22 აპრილის სხდომაზე დაადგინა გამოაცხადოს ამიერკავკასიის დემოკრატიულ-ფედერატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. ვაუწყებ ამას თქვენ აღმატებულებას, რათა აცნობოთ თქვენს მთავრობას“ საგარეო საქმეთა მინისტრი აკ. ჩხენკელი.

ამასთანავე ერთად სეიმის დადგენილება ეუწყა ტფილისში მყოფ ეჩხებს უცხო სახელმწიფოებისა.

◆ **გორის კრიზისი.** გორის ქალაქის თავმა ქალ. ფინანსების კრიტიკულ მდგომარეობის გამო, მიმართა ამიერკავკასიის მთავრობას შუამდგომლობით, რომ გორის ქალაქის თვითმართველობას გრძელ ვადიან სესხად და სარგებლის გადაუხდელად მიეცეს 250 ათასი მანეთი. ეს საკითხი სეიმში იქნება შეტანილი განსახილველად.

◆ **ახალქალაქიდან** ქართ. ეროვნული კრება 11 აპრილს **გიგრეკორს** და „ორიზონის“ რედაქციას აუწყებენ: „მარტის პირველ ნახევარში გენ. არჯევანიძე დაგვპირდა, რომ გაიყვანს ტელეფონს ბაკურიანში და ბაკურიანის გზასაც გახსნის და რომ წითელ რაზმელებს გამოგვიგზავნის, მაგრამ ეს დაპირებანი მას არ შეუსრულებია. ეხლა მთელ ხეობაში და ახალქალაქ-ახალციხის მაზრებში დაძრწიან შეიარაღებული მტრები ორივე ბანაკისა. ახალქალაქის ეროვნული კრება ამას დასძენს, რომ საჭიროა მიღებულ იქმნას ზომები ექსცესების ასაცილებლად.

◆ **ინჟინრებს, ტეხნიკოსებს** და საპიორის საქმის სპეციალისტებს, რომლებიც გაწვეულნი არიან ჯარის კაცად სთხოვენ საჩქაროდ ჩაეწერნენ მესამე ცალკე ქართულ სასაპიორო როტაში (ველიკოკნიაზის ქუჩ. 26), რადგან ბორჯომის მაზრაში ფასით სამუშაო იწყება. ჩაწერა შეიძლება დილის 10 საათიდან 1 საათამდე.

◆ **რკინის გზის მთავარ კომიტეტის მოთხოვნილება.** რადგან ძარცვა-გლეჯა მატარებლებისა და რკ. გზის მოსამსახურეთა არ შეჩერდა, რკინის გზის მთავარი კომიტეტი შუამდგომლობს ამიერკავკასიის მთავრობის წინაშე, რათა მან კომიტეტის განკარგულებაში დანიშნოს ორი ჯავშნოსანი მატარებელი. აგრეთვე კომიტეტი საჭიროდ სცნობს ყველა ჯავშნოსან-მატარებელს ერთი უფროსი დაენიშნოს, რომელიც ტფილისში უნდა იმყოფებოდეს.

◆ **შეპყრობა.** 1 ნაწილის მილიციონერებმა 11 აპრილს, ღამის 1 საათზე, თავის ბინაზე, ქეთევანის შესახვევში შეიპყრეს „იდეური“ ხელმძღვანელი „საწყალი კიტაის შაიკისა“ მიშა კასრაძე. ციხისკენ გზაზე მან გაქცევა დააპირა და მცველებმა ამის გამო მოჰკლეს.

◆ **სომხების შესახებ.** თავრიზში მყოფ რუსეთის გენერალურ საელჩოს ცნობების მიხედვით, ოსმალეთის ჯარის უფროსმა მოსულიდან აცნობა ხოის გუბერნატორს, რომ ზოგიერთი სომეხი სარგებლობს რუსეთის რევოლიუციით და აპირებს სომხეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებას, რომ ოსმალეთის ტერიტორიაზე არც ერთი სომეხი არ დარჩა, რადგან ზოგი რუსეთში გაიქცა, ზოგი კი სპარსეთში გადავიდა. ზემოხსენებულ ცნობის მიხედვით ჯარის უფროსი სთხოვს ხოის გუბერნატორს, რათა მან აცნობოს, თუ რამდენი სომეხი იმყოფება ხოის, სალმაზის და ურმიის რაიონებში სპარსეთის გუბერნატორმა აცნობა, რომ სპარსეთის სომხები ლოიალურნი იყვნენ სპარსეთის სახელმწიფოსთან, რომ ისინი ვაჭრობენ, და ოსმალეთის ინტერესების საწინააღმდეგოს არაფერს აწარმოებენ. რაც შეეხება ოსმალეთიდან წამოსულ სომხებს, ისინი აპირებენ რუსეთში გადასახლებას, რაშიაც იმათ სპარსეთის მთავრობა დახმარებას გაუწევს.

◆ **წ.-კ. საზოგადოებაში.** 10 აპრ., წ.-კ. გ. საზოგადოების კანცელარიაში შესდგა ქ. შ. წ.-კ. გ. ს. მთავარი გამგეობის წევრთა კრება. 1. გამგეობამ იქონია მსჯელობა განსვენებულის ნიკო ჯანაშიას ხსოვნის აღნიშვნის შესახებ და დაადგინა: 1) მისცეს განსვენებულის ოჯახს ერთდროული დახმარება 600 მანეთი, 2) გაეგზავნოს სამძიმრის დეპეში სოხუმის განყოფილების გამგეობას და განსვენებულის ოჯახს, 3) სტიპენდიების განაწილების დროს შეტანილ იქმნას სტიპენდიანტთა სიაში განსვენებულის ვაჟი, რომელიც ამ ჟამად სწავლობს სოხუმის რეალურ სასწავლებელში, თუ ეს უკანასკნელი განაგრძობს სწავლას უმაღლეს სასწავლებელში; 4) განსვენებულის ქვრივისთვის ყოველწლიური დახმარების დანიშვნის შესახებ გამგეობა იქონიებს ბჯობას შემდეგ კრებაზე. 2) დაადგინა: დაიბეჭდოს რაჟდენ ხუციშვილის შრომა კონცენტრიული სახელმძღვანელო ფიზიკისა საშუალო სასწავლებლისათვის. 3) მოისმინა სარევიზიო კომისიის მოხსენება წარსული წლის გამგეობის მოქმედების შესახებ და დაადგინა წარედგინოს საზოგადო კრებას შესაფერისის განმარტებით. 4) განიხილა მარტის შემოსავალ გასავალი. შემოსავალი იყო 204,465 მ. 32 კ. გასავალი—157,363 მან. 86 კაპ. 1 აპრილს საზოგადოებას აქვს %% ქაღალდები და ფულად—429, 247-04 კ. 5) გამგეობამ განიხილა აგრეთვე სხვა მიმდინარე კითხვებიც.

◆ „ურიელ აკოსტა“. ქართულ კლუბში ორშაბათს 16 აპრილს ქართ. მსახიობთა მიერ და ვ. გუნიას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „ურიელ აკოსტა“. ბილეთები იყიდე.

## სოფლად და ქალაქად

### გორი.

◆ 10 მარტს, დილით, გორზე ჰაეროპლანმა გადაიფრინა. იგი დასავლეთ საქართველოსკენ მიემართებოდა.

◆ სანოვაგე ხალხს არა ჰყოფნის და ზოგიერთნი მაინც განუზრახავთ პირს პატივი არ მოაკლონ და აღდგომისთვის ემზადებიან: ჰყიდულობენ პასქისთვის ბლომად კვერცხს და სხვა მასალას, რის გამოც კვერცხი ცალი სამ აბაზამდე ავიდა. საჭიროა ამას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

◆ როგორც სოფლებიდან გვატყობინებენ, ყველაფერ მოსავალს ფრიად კარგი პირი უჩანს, თუ ტაროსმა არ უღალატა.

◆ ახალი სტილის შემოღებამ გაუგებრობა გამოიწვია მდაბიო ხალხში, უფრო მეტ გაუგებრობას და უკმაყოფილებას გამოიწვევს იგი სოფლად, რადგან ხალხსა ჰგონია, რომ ეს „ჭუნტების“ მოგონილია და აქ რომ ვერაფერი გააწყეს—ახლა ღმერთს მისწვდნენ და აღდგომა 13 დღით ადრე უნდა იყვეს ხოლმე ვითომაო. საჭიროა ხალხს, მეტადრე სოფლად, განემარტოს საქმის ნამდვილი ვითარება.

◆ შაქარი კარგა ხანია გორს თვალით აღარ უნახავს, ამას წინად თუშერვლისა დაურიგეს ხალხს სულზე გირვანქა ფხვნილი, მას აქეთ კი ხალხი ხელცარიელი ზის და ელის.

◆ ბოლო დროს ქალაქში კანტიკუნტად კვლავ ისმის სროლა. საჭიროა ახლავე სასტიკი ზომები იქმნეს მიღებული წესიერების დამრღვეველთა წინააღმდეგ.

## საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიაში

სამხედრო საბჭო ტფილისის სამხედრო ორგანიზაციისა ამით აცხადებს, რომ დღეს 13 აპრილს 10 საათზე დანიშნულია რაიონის წარმომადგენლების სასწრაფო კრება. ევალება ყველა რაიონების წარმომადგენლებს აუცილებლად გამოცხადდეს ბიუროში აღნიშნულ დროზე.

სამხედრო საბჭო.

—

ტფილისის კომიტეტის კრება დანიშნულია შაბათს 14 აპრილს წევრთა დასწრება აუცილებელია.

—

შაბათს, 14 აპრილს, საღამოს 5 ს. ს.-ფ. პარტიის კლუბში დანიშნულია ტფილისის სოციალისტ-ფედერალისტ მუშათა კავშირის გამგეობის მორიგი კრება. გამგეობის წევრებს ევალებათ აღნიშნულ დროზე მოვიდნენ.

## გამოფხიზლებული სინიდისი

ამიერ-კავკასიის ბედი გადაწყდა. ამიერ-კავკასია უკვე ფედერატიულ რესპუბლიკად არის გამოცხადებული. რუსობა ფაქტის წინაშე სდგას. ეხლა აზრი, მოფიქრება, მდგომარეობის გათვალისწინებაა საჭირო და არა გრძნობის აყოლა.

დაფიქრების მომენტს-როგორც სჩანს თვალი აუხელია რუსობის ზოგიერთ ელემენტისათვის და აი ერთი მათგანი, რუსის მწერალი, გუშინ რუსული ორიენტაციის მოსარჩლე დღეს რა გარკვევით ამკობს ეხლანდელ რუსეთს. ვლ. ვოლსკი „ბორბაში“ სწერს: „ამიერ-კავკასია დიდხანს ელოდა რუსეთის დახმარებას... და ეს დახმარებაც მივიღეთ.

ყარსი, არტაანი და ბათომი ბოლშევიკების ხელებით გადაცემულია ოსმალეთს.

ბოლშევიკების ხელებით გატიტვლებულია ამიერკავკასიის ფრონტი და დათმობილია ტრაპიზონი.

ბოლშევიკების ხელებით გადაქცეულია ზღვის ძარცვლად შავი ზღვის ფლოტი—სიმაგრე ბათომის ციხისა.

ბოლშევიკების ხელებით ამიერკავკასია მოწყვეტილია კასპიის ზღვას და ევროპიულ რუსეთს.

ბოლშევიკების ხელებით ამიერკავკასიაში პური აღარ მოაქვთ.

ბოლშევიკების ხელებით ხოცავენ ორმავირში ქართველ-მოხალისეთ, რომელნიც ამიერკავკასიაში ბრუნდებოდნენ სამშობლო მხარის დასაცავად.

ბოლშევიკების ხელებით შეიარაღებულია ნაძირალები, რომელნიც ოსმალეთის ემისარების მეცადინეობით აამოძრავეს ჩვენი ჯარის ზურგში.

და ამის შემდეგ ჩვენ გვეუბნებიან იმ დახმარებაზე, რომელიც უნდა მიგვეღო ჩრდილოეთიდან...

ეს გზა სიბრმავის და პირმოთნეობის გზაა. ამ გზით სიარული იქნებოდა ქვეყნის დაღუპვა“.

ამ მოტივებით რუსის მწერალი იცავს ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობას.

ძალიან კარგია! მაგრამ სად იყვნენ ეს ძალები გუშინ, როცა ყველა ჯურის რუსი ერთხმად იცქირებოდა ჩრდილოეთისაკენ და აქაურ აჯანყებისათვისაც მოუწოდებდნენ დამოუკიდებლობის მოსასპობად?

ეხლაც არ არის გვიან თუ გამოფხიზლებული სინდისი არ იქნება მარტო ვოლსკის სინიდისი...

## ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილი

1917 წ. მარტის პირველი რიცხვები იყო. ბათომში, „აზიზიეს“ დიდ ჯამეში (სამლოცველო) ქართველ მაჰმადიანთა კრება იყო გამართული. უნდა თავიანთ ჭირ-ვარამზე ელაპარაკნათ, გამოერკვიათ თავიანთი დამოკიდებულება ახალ მთავრობასთან და გარდაეწყვიტათ-გაეგზავნათ თუ არა თავიანთ წარმომადგენლები ბაქოში მაჰმადიანთა ყრილობაზე; რომელიც იმ ახლო ხანში უნდა მომხდარიყო.

[illegible]

...დღებას ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილი, რომელსაც, როგორცა სჩანდა, მომხრენი ქობულეთშიცა ჰყავდა და იმის სახელი ზემოაჭარიდან აქამდეც ჩამოდიოდა. აჭარის „შეურაცხყოფილ მეფეს“ ძალიან ხშირადა ვხედავდი ბათომში. იგი ან მგელაძის სარძევეში მიირთმევდა ყავას, ან სარძევის წინ, ქუჩის ნაპირას თუთუნს შეექცეოდა, რასაკვირველია ამალა შემორტყმული. ბეგები გვერდზე უსხდნენ, მახლობელი აჭარელნი კი... მოწიწებით, მორიდებით იდგნენ შორი-ახლოს. და უნდა გენახათ რაოდენი მორჩილება, რაოდენი შიში და მოკრძალება გამოსჭვიოდა ყოველ მათ მიმოხვრასა და ხელის განძრევაში. თითქოს ფეხი აეკრიბათ, ენა სასას აჰკვროდათ და მონის თვალით ჯემალ-ბეგს თვალებში შესციცინებდნენ... ქუჩაში კი, მათ თვალწინ გუგუნებდა მუსიკა, ჰაერს სჭრიდა მარსელიეზა, ხალხი ჰზობოქრობდა და ზეიმობდა ძველი კერპების დამხობას, ეს თავისუფალი მონები კი... ყოფილ ბოქაულის ჯემალ-ბეგის წინაშე თრთოდნენ და ჰკანკალებდნენ...

რევოლიუცია თავის გზით მიდიოდა და მის წითელ ალის წინაშე ერთი მეორეზე ემხობოდნენ ძველი მთავრობის ოპრიჩნიკები, ჯემალ-ბეგი იყო მხოლოდ, რომ თავის დიდების ტახტზე ეშმაკურად იგრეხდა ისევ ულვაშებს და თვის შავ გულში შავ განზრახვათ აგროვებდა. აჭარიდან ხმა ჩამოდიოდა და ბათომშიცა ლაპარაკობდნენ, რომ ჯემალ-ბეგი აჭარაში თავის ბნელ მოღვაწეობას აგრძელებდა.

[illegible]

...ბას, მონობას, მონობას... აჭარამ რომ უმადურობა გამოიჩინა და გაგვყიდა სწორედ მაშინ, როცა ყველაზე ძალიან გვჭიროდა მისი დახმარება მისივე სასარგებლოდ, აჭარამ რომ გვიღალატა სწორედ მაშინ, როცა ჩვენი ბედი სასწორზე შეიდო და ან სიკვდილის, ან სიცოცხლის განაჩენი უნდა მოვისმინოთ, ეს ხალხის ბრალი როდი არის. აქ დამნაშავენი არიან ის ბეგები, რომელნიც თავისუფლებას ვერ შეჰრიგებიან და ძველ ბატონობაზე ვერ აუღიათ ხელი, დამნაშავეა მათ შორის მეტადრე ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილი, ეს აჭარის უპასუხისმგებლო ბატონი და პატრონი: რომელმაც არ დაინდო მშობელი ერი და, ვით იუდამ, გაჰყიდა სამშობლო და მოძმის სისხლში ამოისვარა ხელი. მაჰმადიანი ქართველი რომ დღეს მუხანათურად უკნიდან მახვილსა სცემს თვის სამშობლოს სადარაჯოზე მდგარ ქრისტიან ქართველს,—ეს უმთავრესად ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილის ბრალია!..

ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველობის ალისფერი სისხლით რომ ილებება ქობულეთისა და აჭარის ტურფა მთები—ეს სისხლი უმთავრესად ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილის ხელით არის დანთხეული!..

პატარა მაჰმადიანებისა და დაობლებულ პაწია ქრისტიან ქართველების, რომელნიც შარშანწინ სიამათა და ხალისით უგზავნიდნენ თვის პაწია ძმობილებსა და დობილებს ტანსაცმელსა და ლუკმა-პურს,—ამ პაწია ქართველების დღევანდელ წივილსა და [illegible]

## წერილი რედაქციის მიმართ

[illegible]

...ვათხოვეთ, ხვალ ორი-სამი ამოდენა გაქრება იმედია მას მთელი საზოგადოებაც ყურს ათხოვებს და შეეცდება გამოარკვიოს ყოველივე მათი შეცდომა.

დაინტერესებულთაგანი.

გამომცემელი
სამხრ. ფედერალისტ.
რწმუნებული [illegible]

ექიმი
**ე. ლ. შალამბერიძე**
იღებს საზებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
**თიკანაძე**
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1003

ექიმი
**გ. მ. მუხაძე**
იღებს [illegible] ავადმყოფებს საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: [illegible] ქ. № 67, [illegible] 1030

ძ. კავკავში.
ექიმი რევაზ ალექსანდრე ძე
**მაჩაბელი**
მიიღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. კაცებისა 5—7 ს. საღამოისა.
სლეპცოვის და მეშჩანურ ქუჩების ქიმი, სახლი პაპუნოვისა. 142

ექიმი
**პავლე არდაზიანი**
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 ბინა. 1002

ექიმი
**დ. შარაშანიძე**
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა, № 7. 2130

ექიმი
**შ. ა. მიქელაძე**
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
**ვ. მუსხელიშვილი**
იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. [illegible] ქ. № 6.

ექიმი
**გ. წინამძღვრიშვილი**
უ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. კლინიკებისა, გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. იღებს ავადმყ. დილის 10—12 ს. საღამ. 5—7 საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ბო-მონდის“ პირდაპირ. 1029

ექიმი
**დ. ვ. ჯავახიშვილი**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე კვირის გარდა საღამოს 6—7 საათამდე, გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ექიმი
**ნ. ი. მახვილაძე**
იღებს სპეციალურად შარდისით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოხკოვის ქ. № 11. 426

ექიმი
**პ. ტყეშელაშვილი**
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით 5½—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

მარტის 20 გაიხსნა
**ახალი სამკურნალო**
ყოველგვარ ავადმყოფთათვის
ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის
საავადმყოფოში იარსებებს კბილის სამკურნალო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტექნიკურ ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტის და კიროჩნის ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი კიროჩნის ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე; ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფების მიღება—საღამოს 5—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს. ღარიბები უფასოდ მიიღებიან კვირაობით 10—12 ს. 327

**ექიმ ნავასარდიანის**
პირველი კერძო
**სამკურნალო**
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა დილით:
„606“ და „914“ 11—12 ს.
ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
გ. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
ბ. გ. აგახაროვი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ავეტიხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11½ ს.
მ. ვ. ბარხუდაროვი: 1—2 ს. ქალებისა და საზებიო ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1010

სტამბა
„სახალხო საქმე“
იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს: ყოველნაირ გამოცემათა, აფიშების, სადარბაზო ბარათების, კანტორის წიგნების და სხვათა დაბეჭდვას.
საქმე სრულდება სუფთად და თავის დროზე.
კანტორა მოთავსებულია ქუჩის პირად. ბარონის ქუჩა № 14.

„სახალხო საქმი“-ს
რედაქციის კანტორაში
იყიდება შემდეგი წიგნები:



| | |
|---|---|
| ჯავახიშვილი ივ.—„ქართველ ერის ისტორია“ მხოლოდ მეორე ტომ. | 3 მ. |
| ლორთქიფანიძე ... ღლონტი თ. „ავტონომია და ფედერაცია“ წ. I | 4 „ |
| გრძელიძე წ. I | 3 „ |
| ქართველი მწერლები. | 2 „ |
| უცხოეთის „ | 2 „ |
| შიუკაშვილი—„მეგობრობა“. | — 60 კ. |
| ჯანაშვილი—„თამარ მეფე“. | 1 „ 20 „ |
| ფირცხალავა ს. „სამაჰმადიანო საქართველო“. | — 40 „ |
| ღლონტი თ. რუსული წიგნაკი—„ფედერალიზმი“. | — 50 „ |

წიგნის დაკვეთა შეიძლება ფოსტით, რაიცა შესრულდება დაუყოვნებლივ.
წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20 პროცენტი. გამოწერა შემდეგი მისამართით—ტფილისი, რედაქცია „სახალხო საქმე“.